გილოცავთ შობა-ახალ წელს!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

ტერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი● გამოდის 1933 წლიდან ● №1 {7006} 3 იანვარი 2020 წელი ● www. Terjola. ge

...შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე და ძალამოსილება შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოში, გაავსე სახლები მზითა და სითბოთი, ბეღელი პურით, მარანი ღვინით, ახორი საქონლით, კერია ნაკვერჩხლით, გული სათნოებით.

ააჟრიამულე ეზო-კარი შვილიშვილებით, შვილთაშვილებით და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩემს ქვეყანაში! არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი საქართველოს. ნატვრისთვალი დაუდე ამ ახალ წელს სასთუმალთან ყველას, რათა დილით ადგნენ, ნახონ და მამულის უკვდავება ინატრონ...

ვაჟა-ფშაველას საახალწლო დარიგება

„რაც უნდა უფერულ და უიმედო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალ წელს მაინც იმედით ეგებება, როგორც კარგის რაისამე მომტანს, კარგის მომასწავებელს...

ამ ახალი წლის დამდეგს, ეს ფიქრი მოდის ძალაუნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალ წელს მივეგებნეთ ახალის ძალით, მხნეობით, გულწრფელად ჩავიჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: რაც ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილებიც ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოდ იმის სასარგებლოდ, ჩვენი ძალ-ღონის დაგვარად, რაც კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს—ეკონომიკური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვა. თუ ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ კაცობრიობისათვისაც სასარგებლო იქნება“.

* * *

გავითავისოთ დიდი ვაჟას შეგონება. ახალი წლიდან ახალი შემართებით ვაკეთოთ ჩვენ-ჩვენი წილხვედრი საქმე. ღმერთი მოგვხედავს და სირთულეებს დაგვაძლევინებს.

მტრობასა და ორგულობას არსად, არასდროს, არავისთვის სიკეთე არ მოუტანია, დავუდგეთ საქართველოს, მხარი-მხარს მივცეთ, ძმებო.

„ვეჭვ ჭმუნვასა ესე სჯობდეს!“

მრავალჟამიერ!!!

გვილოცავენ, ვულოცავთ! გვილოცავენ, ვულოცავთ! გვილოცავენ, ვულოცავთ!

ყველა თერჯოლელსა და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და წარმატებას. მინდა, მომავალი 2020 წელი იყოს დასახული მიზნების შესრულებისა და სასიკეთო ცვლილებების წელი. მიუხედავად მრავალი სირთულისა, მჯერა, რომ ჩვენს წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებს წარმატებით გავართმევთ თავს. ერთად დგომითა და დაუღალავი შრომით, ყველაფერს შევძლებთ და მიღწეული შედეგებითაც ერთად ვიამაყებთ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! ბედნიერება, სიკეთე, სიხარული და სიძლიერე არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

ელგუჯა გოცირიძე,
თერჯოლა-ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

ერთად, ერთმანეთით შევძლებთ იმას, რაც აქამდე არ გამოგვივიდა და მომავალი წელი აუცილებლად იქნება ახალი მიღწევების და გამარჯვებების წელი!

იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ ახალი, 2020 წელი 31 დეკემბერს, სათაფლიის ნაკრძალიდან მიულოცა იმერეთის მოსახლეობას, სრულიად საქართველოს. მან თავის ვიდეომიმართვაში, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ათასწლეულების წინ, სწორედ ჩვენს მხარეზე გადიოდა „აბრეშუმის გზა“, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებდა. მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მას ყოველთვის დიდი სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ყოველთვის იყო სიახლის, პროგრესის, განვითარების საწყისი ათასწლეულების მანძილზე, აარსებდნენ განათლების მძლავრ კერებს, აქ იქმნებოდა სახელმწიფოებრივი აზროვნება და ერთიანი საქართველოს დიადი იდეა. იმერელ კაცთან ბუნებაც ასეთ ჰარმონიაშია. ალბათ, სწორედ ამიტომ იქნებოდა აქ ხელოვნების განუმეორებელი ნიმუშები. 2020 წლიდან კიდევ ერთ უნიკალურ პროექტს მიეცემა ახალი სიცოცხლე. წყალტუბოს სრულფასოვანი რეაბილიტაცია-განვითარება ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობასთან ერთად, იმერეთის მხარეს ჯანმრთელობის, ტურიზმის, კულტურის, განათლების და რაც მთავარია, ჩვენი ახალგაზრდებისთვის ყველაზე სასურველ, მძლავრ, საერთაშორისო ცენტრად აქცევს. 2020 წელს იმერეთის რეგიონი ბევრი მიმართულებით შეიძენს ახალ სიცოცხლეს, კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება ყველასთვის. ერთად, ერთმანეთით შევძლებთ იმას, რაც აქამდე არ გამოგვივიდა და 2020 წელი აუცილებლად იქნება ახალი მიღწევების და გამარჯვებების!“

ახალ წელს გილოცავთ ჩემო მეგობრებო!

ვულოცავ ყველა თერჯოლელს, იმერეთის ყველა მაცხოვრებელს, სრულიად საქართველოს. ვულოცავ ყველა პატარას, რომლებსაც ამ დღესასწაულის განსაკუთრებული მოლოდინი აქვთ.

ვულოცავთ ყველა მოსწავლესა და სტუდენტს, რომელთა მაღალკვალიფიციურობაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. განსაკუთრებით ვულოცავ პენსიონრებს, ვეტერანებს, ჩვენს ჯარისკაცებს, რომლებიც მშვიდობის სადარაჯოზე დგანან.

ახალ წელს ვულოცავ ქართველ ემიგრანტებს და ვუსურვებ მათ, რომ მომავალ ახალ წელს საკუთარ ოჯახებში შეხვდნენ.

იმედს გამოვთქვამ, რომ 2020 წელი იქნება გასულ წელზე უკეთესი. ეს იქნება იმედების გამართლების, ერთმანეთის გვერდში დგომისა და კეთილდღეობის წელი.

გასულ წელს ჩვენ განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოციალური პროგრამები და კულტურული ღონისძიებები.

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯა 6 800 000 ლარი. სულ განხორციელდა 168 პროექტი. მათ შორის 9 მსხვილი პროექტი, პროექტებიდან მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით 118 დაფინანსდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, საგზაო ინფრასტრუქტურაზე დაიხარჯა 2 500 000 ლარი და საერთო ჯამში დაიგო 11 კმ. გზა, ასევე მოეწყო 6 ხიდი, აიგო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების შენობა, რეაბილიტირდა 5 ამბულატორია, აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი, სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 18 საჯარო სკოლას.

2020 წლისათვის დაგეგმილია მოსახლეობის პრიორიტეტებზე გათვლილი კიდევ უფრო მეტი პროექტი. უკვე დამტკიცებულია ადგილობრივი ბიუჯეტი და იგი 12 მლნ 413 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილია 4 მლნ. ლარი და დიდია მოლოდინი, რომ ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს აშენდება 2 საჯარო სკოლა, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქალაქ თერჯოლის ცენტრს, განხორციელდება ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტი მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს.

ვისურვოთ, რომ 2020 წელს მშვიდობა, სიკეთე, სიხარული, ხვავი, დოვლათი და ბარაქა მოეტანოს თერჯოლისა და სრულიად საქართველოსათვის.

ბონდო სოფრომაძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას!

ძვირფასო თერჯოლელებო, ახალი, 2020 წელი არის ახალი შანსი და შესაძლებლობა ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის!

წინასაახალწლო დღეებს სიკეთის კეთების მომეტებული სურვილი და მეტისმეტად დადებითი ემოცია ახლავს. ვისურვებდი, ეს განცდა მთელი წლის განმავლობაში გაგვყოლოდეს!

ახლა ერთად ვაცილებთ 2019 წელს, რომელსაც ახლდა წარმატებებიც და გამოწვევებიც. ვცდილობდით, ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს ეგრძნო თვითმმართველობის მხარდაჭერა, გადაწყვეტილებები მაქსიმალური კომპეტენციით, სამართლიანობის, ადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით, პოლიტიკური სტაბილურობისა და სიახლის დანერგვის სურვილით მიგვეღო.

მინდა განსაკუთრებით მივულოცო დამდეგი ახალი წელი ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე პედაგოგებს, ექიმებს, მეხანძრე-მაშველებს, მეეზოვეებს, ჩვენს პოლიციელებს, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან მუნიციპალიტეტს და ჩვენს ქვეყანას.

შობის მადლი და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ!

გვიხაროდეს ერთმანეთის წარმატებები!

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თ ე რ ჯ ო ლ ა ა ხ ა ლ ი წ ლ ი ს ღ ა მ ე ს . . .

2019 წელიც გავისტუმრეთ, გზასავალი დავულოცეთ და მადლობაც გადავუხადეთ გარჯილობისთვის. მძიმე ტვირთისთვის, რომელიც ზიდა, როგორაც შეეძლო ისე...

ფერ-უმარულითა და ჩიხტი-კოპით ლამაზად მორთულმა თერჯოლამ უამრავ ადამიანს მოუყარა თავი ახალი წლის საზეიმო შეხვედრაზე, რომელიც ქალაქის ცენტრში ტრადიციულად, მერიის შენობის წინ გაიმართა...

უზომოდ ლამაზი იყო ღამის თერჯოლა. მერე რა, რომ თოვლმა კვლავ თავპატიჟი გამოიდო და აგერ მეორე წელია გვებუტება. იყოს ნება მისი. სულაც არ შეგვშლია ხელი გაგვეხარა ერთმანეთის ნახვით, გვეცეკვა და გვემღერა. თვალს ახარებდა უფროსი თაობის ადამიანებთან ერთად ახალგაზრდებისა და პატარების მრავლობა.

მთავარი ნაძვის ხე სილამაზით გამორჩეული იყო თავის წინამორბედებიდან. ასევე საგულდაგულოდ მოერთოთ ყოველი სკვერი თუ გაზონი, კუთხე და კუნჭული...

მადლობა ყველას, ვინც გაისარჯა და თუნდაც მცირედით შეიტანა წვლილი შთამბეჭდავი გარემოს შექმნაში...

მადლობა ყველას, ვინც ლამაზი საახალწლო კონცერტითა და ფოიერვერკით დაასრულა წინასაახალწლო საღამო...



წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

სიქთარვაში „Socar Georgia Petrolum“-ის ახალი კომპლექსი გაიხსნა

ეს მულტიფუნქციური კომპლექსი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალაქ თერჯოლის მახლობლად, სოფელ სიქთარვაში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე განთავსდა.

გახსნის ცერემონიალზე იმყოფებოდნენ კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი **როვნაგ აბდულაევი,** ვიცე-პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **მაია ცქიტიშვილი,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ნათია თურნავა,** იმერეთის გუბერნატორი **ზვიად შალამბერიძე,** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი **ბონდო სოფრომაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ჯანელიძე,** ასევე საქართველოს მთავრობის, კომპანია „სოკარის“ სხვა წარმომადგენლები და აზერბაიჯანის საელჩოს თანამშრომლები.

კომპლექსი, ავტოგასამართი სადგურის გარდა მოიცავს ბავშვთა გასართობ ზონას სათამაშო ავტომატებით, კაფე-მარკეტს „Way Mart“, კვების ობიექტებს „Dunkin Donut“ და „Wendy`s“, სააფთიაქო ქსელს „GPC“, ღვინის მწარმოებელი კომპანია „მეღვინეობა ხარებას“ მაღაზიას და ასევე ტერიტორიაზე განთავსებულ ელექტრომობილების დამტენ მოწყობილობებს.

ხაზგასასმელია, რომ აქ დასაქმებული პერსონალი უმეტესად ადგილობრივი მცხოვრებია.

იმავე დღეს, ვიდრე ეს მულტიფუნქციური კომპლექსი გაიხსნებოდა, ვიცე-პრემიერი მაია ცქიტიშვილი, იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან, ბონდო სოფრომაძესთან ერთად ადგილზე გაეცვნენ თერჯოლაში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობას, რომელიც მალე დასრულდება და შესაბამისი აპარატურით აღჭურვის შემდეგ შევა ექსპლუატაციაში.

„ჩვენ წელს (2019 წელი) დავიწყეთ ეს პროგრამა, რომელიც მოიცავს პირველადი ჯანდაცვის — ამბულატორიებისა და სასწრაფო დახმარებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში, მთლიანობაში, 40-მდე სასწრაფო დახმარების ცენტრისა და 200-ზე მეტი ამბულატორიის მშენებლობა-რეაბილიტაცია შევძელით, რაც ამ მიმართულებით, რეგიონებში არსებულ ვითარებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს,“—აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

„რა, სად, როდის“

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს თერჯოლის ახალგაზრდული ორგანიზაციის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში: „რა, სად, როდის“ თემაზე: „ევროსაბჭო და საქართველო“. თამაშში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, რესურსცენტრის, მოსწავლე-ახალგაზრდობის, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის გუნდები. გაიმარჯვა მერიის გუნდმა. გამარჯვებულებს პრიზები გადასცეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ქალბატონმა ნინო ჯანელიძემ და მერის პირველმა მოადგილემ მანუჩარ ფანჩულიძემ...

თეატრალურ ფესტივალზე

სამ დღეს მიმდინარეობდა მაკ ჯორჯიას სასკოლო თეატრალური ფესტივალი ზესტაფონის შემოქმედებისა და კულტურის ცენტრში, რომელშიც მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების თეატრალური ჯგუფები. ფესტივალში სპექტაკლით „მარტოობის დღესასწაული“ მონაწილეობა მიიღო ძევრის საჯარო სკოლამ, ლიტერატურული ეტიუდები „ეს სპექტაკლი არ არის“ წარადგინა ზედა სიმონეთის საჯარო სკოლამ, ხოლო სპექტაკლი „გაფრენა“ ჩხარის საჯარო სკოლამ. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული მონაწილენი დაჯილდოვდნენ.

მუსიკალური სპექტაკლი

მუსიკალური სპექტაკლი, „არლეკინის ჯადოსნური ღამე“ წარადგინა „მზეკაბან 2007“-ის თეატრალურმა სტუდიამ ქუთაისის სასკოლო თეატრების მეათე საერთაშორისო ფესტივალ „N—ოვაციაზე“, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 14 დეკემბერს ქუთაისის ოპერის თეატრის დიდ სცენაზე. „წარმატებულ წარმოდგენას ცოტა ადრე წინ უძღოდა „მაჩაბელას“ თეატრალური ფესტივალი ქ. თბილისში. ორივე შემთხვევაში წარმოდგენას დიდი აღიარება მოჰყვა.

აღნიშნულის თაობაზე უფრო ვრცლად სტატიას გაზეთის შემდეგ ნომერში წაიკითხავთ.

საჩუქრები პატარებს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკს გია ლილუაშვილს არაერთხელ გაუხარებია საჩუქრებით ნორჩი თერჯოლელები. არც წლევანდელი წელი იყო გამონაკლისი. ახალი წლის დღეებში ბატონმა გიამ საცირკო წარმოდგენის 100 ბილეთი შეიძინა, რომელიც საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა და დევნილთა შვილებს, ასევე ქუჩაში შემხვედრ პატარებს საჩუქრად გადასცა.

საახალწლო ვერნისაჟი

25 დეკემბერს საახალწლო ვერნისაჟი გაიხსნა თერჯოლის საგანმანათლებლო სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში. სკოლის დირექტორმა ქალბატონმა თამარ ღარიბაშვილმა მორიგი გამოფენა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა ნორჩ „მხატვრებს“, შეკრებილ საზოგადოებასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს.

დასასრულს სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებს პედაგოგებმა ხელისუფალთა საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

3 იანვარი ტრისტან სოფრომაძის დაბადების დღეა

ჩვენ თვალწინ გაიზარდა. დავაჟკაცდა. ლამაზი ბიჭი იყო. ჭკვიანი და ზრდილი. ნამდვილი ოჯახის შვილი. უყვარდა სიცოცხლე. უყვარდა თავისი ლამაზი სამშობლო—საქართველო. მის ინტერესებს, მის ტერიტორიული მთლიანობის საქმეს მიუძღვნა თავის სიცოცხლე. ბოროტი ძალების მიერ წამოწყებული მზაკვრული ომის მსხვერპლი გახდა საქართველოს ძირძველ მიწაზე აფხაზეთში...

რამდენჯერ გავივლით ტრისტან სოფრომაძის სახელობის ქუჩაზე, იმდენჯერ გავიხსენებთ ჩვენს მამაც მებრძოლს. აქ სკოლაა. მოსწავლეების ჟრიამულია ყოველდღიურად. ახლა აქ ტრისტანის შვილები თუ შვილიშვილები უნდა დარბოდნენ თანატოლებთან ერთად... მაშინ სხვა სიხარული იქნებოდა, სხვა სიცოცხლე.

ტრისტან, გვახსოვხარ. ისევ ჩვენთან ხარ. გვიყვარხარ. გიხსენებთ, გეფერებით. აქედან გილოცავთ ახალ წელს, ანგელოზები გფარავდეთ მამაცო სამშობლოს ჯარისკაცო, ჩვენო მამაცო ბიჭო.

შენს სკვერთან თავდახრილი გავივლით ხოლმე...

გილოცავთ დაბადების დღეს. როგორც ცოცხალს, ისე გილოცავთ. გმადლობთ რომ იყავი. შენისთანა ბიჭებით დგას საქართველო.



საახალწლო ღაღადისი

აჰა, ორიათას ცხრამეტიც დასრულდა.
ჩავავლოთ თვალი, რა მოგვცა მან და რა გვსურდა?
უპირველესად მივესალმოთ და მადლობა გადავუხადოთ გაწეული ღვაწლისთვის.
გეგმებიც მზად ვიქონიოთ ამ წლისთვის!
ერთ სულ და ერთ ხორც დავუდგეთ გამოწვევებს ძველსა და ახალს.
მტერი უკან დაიხევს თუ კვლავ ერთად გვნახავს.
მამულს ვუპატრონოთ—ჭირდება ხელის შეშველება
იბერია გაბრწყინდება, გაიხარებს, ეშველება.
დიდი პოეტის გულისხმაც,
სამშობლოს მიმართ, რომ იგულისხმა
—კვლავ არის პირველი:
„სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი!“
ამ გაგებით.
საიმედო ამბებით.
ვიდექით და დავდგებით
არა იგავ-არაკებით
—მამულის ხმით გელაპარაკებით:
„საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს“,
მიწა-მარჩენალმა გვარჩინოს!
მას მივეფეროთ, მივესათუთოთ და განვადიდოთ
ყოველი სარეველა და მავნებელი განვარიდოთ.
პატივი მივაგოთ მიწის ერთგულ მეთარგეს, მის მაჯა-მარჯვენას,
სოფლის მარჩენალს!
მაღალ ღმერთს როგორ შევხედოთ თვალებში ჩვენს მამა-პაპათა ოფლით გაპოხილ ახო-გარემოში ცხრა მთას იქეთიდან გარდმოხვეწილი ვინმე უგვანი ავლებდეს ანეულს და მისგან სამადლოთ უთოსპირად ვყიდულობდეთ ქართულ „თავთუხსა“ და სიმინდის მარცვალს.
საწუხარია ეს თემა, როგორც ანათემა და მძიმე საფიქრალი,
ჩვენ ერთად ყველამ, ჩვენ ერთად ყველამ, ჩვენ ერთად ყველამ
—უნდა ავანთოთ კერია მიმქრალი!
ძნელად საზიდით, მაგრამ სასიამოვნო ტვირთით მოგვეახლა ახალი წელი.
უნდა მივიღოთ.
კარი უნდა გავუღოთ და ვანახოთ, როგორი მასპინძლობა ვიცით, ოღონდაც სიბრძნე მოგვმადლოს უწინდელი—ერთად დგომისა. შორს ჩვენგან გულარხეინობა და სიზარმაცე. ზედმეტმა ხელგაშლილობამ, ავანსად გაღებულმა სიკეთემ და უზრუნველობამ მხოლოდ ურვა და ბევრი მოხარბე-მოშურნე გაგვიჩინა. ეს ყველაფერი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს.
განგების მადლით ბუნება გვანებივრებს კეთილი კალთით, მიწა-მარჩენალი დაღვრილი ოფლისათვის არასოდეს გვმადლის თავის სიუხვეს. „ფიროსმანის დახატული ცა“ ჩვენია, დევის გამძლეობაც ჩვენია, ადამიანური სიყვარულის ნიჭი ოდითგან მოგვდგამს...
ეს ყველაფერი ჩვენი მოიმედეა. მერე რა, რომ უკეთესობის მოლოდინში წლები ზანტად და ზიგზაგით მიუყვებიან ძნელად სავლელ გზა-ბილიკებს.
გვჯერა უკეთესობისა. გვჯერა ჩვენი სამშობლოს ნათელი მომავლისა.
„ქუდზე კაცს“ შემოუძახებდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები მტერთა მოძალებისას, მაშინ მომხვდურნი ხმლით და ყიჟინით მოდიოდნენ.
ახლა ზოგნი აშკარად, ხელაღებით გვმტრობენ, ზოგნიც ღიმილითა და ჭრელა-ჭრულა სატყუარებით გველაქუცებიან...
ვერავინ, ვერასდროს, ვერაფერს დაგვაკლებს თუ ერთად ვიქნებით. ვიფხიზლოთ, ვიკმაროთ რაც წარგვტაცეს და რაც ჩვენივე „მამულიშვილებმა“ გაგვაჩუქებინეს...
ახალო წელო, ერთად ვიფიქროთ ამ ყველაფერზე.
ღვთის ნებით, ეგების უკეთ გავერკვეთ დაბნეული ოცდამეერთე საუკუნის ლაბირინთებში...
გვინდა შენს მოსვლას მშვიდობა, ძმობა და სიყვარული თან ახლდეს:
იბერია გაბრწყინდეს და განახლდეს!
ყველამ გაიგოს საით მივდივართ, ვინა ვართ, „ვისი გორისანი“.
მამულს ნუ შეგვეცილებიან, ნუ არიან დიდგულზე, არავის ვემუქრებით, მაგრამ ახსოვდეთ:
„ქართველთა ძლევაი საკვირველი“ დიდგორზე!
შენი შემობრძანებისა იყოს ახალო წელო, ვიწამოთ რომ სიკეთის თესლი კვლავაც აღმოცენდება ჩვენს მამულში.
2020 ჩვენი უნდა იყოს, ეს უფლის ნებაც არის.
სადიდებელი ვთქვათ და მრავალჟამიერი ჩვენი სამშობლოსი!

ნუგზარ გამყრელიძე

2020 წელი, ივნისი და ახალი სკოლა

სიქთარვაში განათლების საქმეს ყურადღება მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მიექცა. მღვდლებმა ანტონ და ლავრენტი ფერაძეებმა, ხალხის თხოვნით და ზემდგომი ორგანოების თანხმობით, ნემსიწვერიძეების ეზოში ორწლიანი სკოლა გამართეს. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ღვთისმეტყველებას. მე-20 საუკუნის დამდეგს სოფელში ჩნდება საკუთარი ინტელიგენცია. მათ ყურადღება გაამახვილეს ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე. აიგო ოთხოთახიანი მიწის იატაკიანი ფიცრული. მოგვიანებით, ნემსიწვერიძეების ეზოდან, სკოლა ეკლესიის ეზოში გადმოიტანეს. სკოლის გამგედ და პირველ მასწავლებლად მიხა ქოჩიაშვილი დაინიშნა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ათეულობით თაობა გაიზარდა სკოლაში, ათასობით ახალგაზრდა ეზიარა პირველდაწყებით და საშუალო განათლებას, სკოლაში ასწავლიდნენ საქმის მცოდნე, სკოლაზე, ბავშვებზე შეყვარებული მასწავლებლები. მრავალი ცნობილი ადამიანი აღიზარდა სიქთარვის საშუალო სკოლაში...

შვიდწლიანი სკოლის ხის შენობა ველარ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, მოგვიანებით საშუალო სკოლა გაიხსნა და ახალი კაპიტალური შენობა აიგო, ამასობაში 21 საუკუნე დადგა, დღის წესრიგში კი დადგა ახალი სკოლის მშენებლობის საკითხი—საკითხის დადებითად გადაწყვეტას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, (მათზე, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სკოლის მშენებლობის დაწყების საქმეში, ცალკე გვექნება საუბარი) 2019 წლის ივნისში

სიქთარვის მშენებარე სკოლა

მშენებლობა დაიწყო... საჯარო სკოლა სოფლის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდა. „სტუმრებიც“ და „მასპინძლებიც“ ვიწროდ არიან, მაგრამ ღირს!..

შემსყიდველი: სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოა. მშენებელი ორგანიზაცია შპს „ალიანსი“. სკოლის საპროექტო ღირებულება 2,5 მილიონი ლარია, მოსალოდნელია ცვლილებებიც, ფასთა სხვაობის მიხედვით.

სამუშაოთა მწარმოებელი რეზო შეროზია, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი იური კობახიძე, მემონტაჟე ბრიგადირი კახაბერ სვიანაძე—მუდმივ რეჟიმში არიან, გულდასმით აკონტროლებენ სამუშაოების მიმდინარეობას, კომპანიის მიერ დადგენილი განრიგის ფარგლებში.

სამუშაოები წინ მიიწევს, ბრიგადები ერთმანეთს ჩაენაცვლებიან, იმის მიხედვით, რა სამუშაოები იქნება შესასრულებელი, სპეციალისტებიც ამ წესით იქნებიან ჩართულნი სამუშაოებში.

ასეთი იქნება სკოლა 2020 წლის ივნისში

სკოლის მშენებლობაზე კი ამჟამად მუშაობენ: ელგუჯა მაღლაკელიძე, იური სუთიძე, ანზორ წიწილაშვილი, გურამ გურგენიძე, გიორგი ფოფხაძე, კობა კვატაია, ლაშა ფოფხაძე, ვაჟა ფანჩულიძე—ეს ხალხი, მშენებლობის დამთავრებამდე კიდევ სხვები, სკოლის მშენებლობის და სოფლის ისტორიაში დარჩებიან და თაობა იტყვის—რომ მათი მონაწილეობით და დიდი შრომით თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ახალი სკოლა აშენდაო...

ბატონების: რეზო შეროზიას და იური კობახიძის თქმით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები მშენებლობაზე ხშირად დადიან, მისი მიმდინარეობის საქმის კურსში არიან.

სკოლის მშენებლობა კი 2020 წლის ივნისში უნდა დამთავრდეს... დამთავრდება კიდეც...

„ჩანაცვლებული“ კადრი ღირსეული იქნება

ნახევარი საუკუნე ემსახურა საყვარელ საქმეს. ორმოცდაათმა თაობამ, ასეულობით ბავშვმა გამოიარა მის ხელში და ამ თაობათა ფიზიკური აღზრდის საქმეს აკეთებდა გულის კარნახით და სიყვარულით. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის“ არსების სჯეროდა და სწორედ ამიტომ იყო მისი გაკვეთილები საინტერესო და მიმზიდველი.

ჰამლეტ მემანიშვილი, როგორც ფიზკულტურის მასწავლებელი და ფიზიკური აღზრდის „ინსტრუქტორი“ სასკოლო დღეს მოსწავლეთა ფიზიკური ვარჯიშით იწყებდა, მხიარული და კარგი სანახაობით—დილის გამამხნევებელი ვარჯიშისათვის ბავშვებს რიგებად აწყობდა, მუსიკაც ირთვებოდა და პირველი ვარჯიშის შესრულებისას ისმოდა მიმართვა—ხელები მაღლა და განზე, ბოლო ვარჯიში ადგილზე „სიარულია“ და კლასებისაკენ ნაბიჯით იარ...

მოსწავლეები კლასებში შედიან. „ძილბურანი“ დამთავრებულია, მოსწავლეებს მხნე განწყობა აქვთ...

უყვარდათ თავასელ მოსწავლეებს ჰამლეტ მასწავლებელი, მისი გაკვეთილები და მასთან ერთად დასვენება, რაიონის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, თავასის საზაფხულო ბანაკში. თავასის სკოლაში დღემდე არსებობს მოსწავლეთა, როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვების დამადასტურებელი სიგელები და თასები, მის მოსწავლეებს არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ეს ადრე იყო...

ფიზკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით შეცვლას დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრია. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულს შეეძლო, როგორც ფიზკულტურის, ისე სპორტის გაკვეთილების ჩატარება, თუმცა იგი რეფორმის ფარგლებში ფიზაღზრდის გაკვეთილებს ატარებდა. კოლეგებთან საუბრისას ხშირად გამოუთქვამს აზრი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების მე-10-მე-12 კლასებში სპორტის გაკვეთილებით შეცვლასთან დაკავშირებით. მას აწუხებდა კითხვა—რატომ ეწოდა ფიზაღზრდის გაკვეთილებს „არაფრისმომცემი“ გაკვეთილები, რა პირობები ჰქონდა სკოლებს სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად, რა შედეგს გამოიღებდა სპორტის სახეობების არჩევითობა და სხვა...

როგორც არ უნდა წარმართულიყო სკოლებში რეფორმა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების თუ სპორტის გაკვეთილების ჩატარების საკითხი, იგი შეძლებდა მხარი აება რეფორმისთვის, კვლავაც ყოფილიყო მასწავლებელი, რომელიც უყვართ... ასეთი გავიდა პენსიაზე, ასეთი გააცილეს და ჩანაცვლდა იგი ახალი კადრით... ახლა კი ვნახოთ ვინ არის ვანო მარუაშვილი, ვინ ჩაენაცვლა ჰამლეტ მემანიშვილს...

ვანოს პედაგოგიურ გამოცდილებაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, სულ რაღაც 8 თვეს უმუშავნია ალისუბნის საჯარო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად, ისიც წლების წინ.

...დამთავრებული აქვს თბილისის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინსტიტუტი მასწავლებელ-ორგანიზატორის სპეციალობით, ეს არის კადრი, რომელიც აუცილებელია განათლების სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდის რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად, უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნასთან ერთად მას აქვს არა პედაგოგიური, მაგრამ სხვა მუშაობის ის გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ვანო მარუაშვილი 1992 წლიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადის პირველი ბატალიონის ფიზიკური სამსახურის უფროსად, 1999 წელს დააწინაურეს—დაინიშნა თავდაცვის სამინისტროს 21-ე ბრიგადის ფიზიკური სამსახურის უფროსად, მოგვიანებით კი თავდაცვის სამინისტროს პოლიგონების და სასწავლო ცენტრის სამმართველოს პოლიგონის სიმონეთის უფროსად, 2018 წლის იანვარში პენსიაზე გავიდა და არის ორმოცდათორმეტი წლის.

ვანო აფხაზეთის ომის მონაწილეა, ვეტერანი, საინტერესო პიროვნებაა, ცოტას საუბრობს საკუთარ თავზე, მაგრამ მისი მდიდარი და იშვიათი გამოცდილების ამბებით, მოსწავლეები დაინტერესდებიან და „სიტყვა ძუნწობა“ მათთან, ისე, როგორც ჩემთან აღარ გაუვა.

სიმონეთში მუშაობისას, სოფელში დაბრუნებულმა, საქმე წამოიწყო, მცირე ბიზნესით დაკავდა, მეცხოველეობის მცირე ფერმა აქვს, მის თანდათან გაფართოებას ფიქრობს.

ვანოს ჰყავს დედა, მეუღლე და ერთი შვილი, უმაღლესი განათლებით.

მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, თავასის სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ და განაცხადი გააკეთა, გაიარა გასაუბრება და 2019 წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო.

ვანო საფუძვლიანად გაეცნო რეფორმას, რომელიც სკოლებში კარგახანია დაინერგა. ძნელია პასუხი კითხვაზე—როგორ ფიქრობს მარტო რაიონის კი არა, ქვეყნის მასშტაბითაც იმ ნაკლოვანებების პირობებში, როცა არ არის ფიზკულტურისა და სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი, დარბაზები, კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, როცა ფიზკულტურა და სპორტი მოიცავს ფიზიკურ ვარჯიშს, მოძრავ თამაშებს, ფარიკაობას, რომ საჭიროა: სხვადასხვა იარაღები და ინვენტარი—შაში, ჭადრაკი, ბურთები, სალტეები, ლენტი, სახტუნაო, შაშხანები, რგოლები, შტანგები, ტაიჭი, ორძელი, პნევმატური შაშხანები, სასტენდო თოფები, პისტოლეტები... ყველაფერი თუ არა „რამე“ ხომ აუცილებელია.

სპორტის გაკვეთილების შემოღება ასეთ პირობებში ნაჩქარევი იყო—ნიშნები არ იწერება და მოტივაციაც აღარ არისო—ამბობს.

ვანო მარუაშვილი ფიქრობს, ეძებს, აქვს კავშირები, ენთუზიაზმი, განათლებაც აქვს, კარგი წარსულიც, ვნახოთ!

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ცხადაძემ

გულწრფელი მადლობები და საუკეთესო საახალწლო სურვილები თერჯოლელ მედიკოსებს!

მადლობა თერჯოლამედს!

დღეს რომ ცოცხალი ვარ კლინიკა „თერჯოლამედის“ დამსახურებაა...

უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა, მუცლის გაუსაძლისი ტკივილებით, მწვავე პერიტონიტით მივმართე თბილისის ცნობილ კლინიკებს. მათ ხელი არ მომკიდეს, გვითხრეს, რომ ძალიან რთული პაციენტი ვიყავი და ჯობდა საზღვარგარეთ გვეცადა ბედი.

ოჯახში გადავწყვიტეთ ჩვენს რაიონში, თერჯოლაში არსებულ მრავალპროფილურ კლინიკა „თერჯოლამედში“ მივსულიყავი. ახლობლებისაგან მქონდა გაგონილი, რომ კლინიკაში არიან საუკეთესო ქირურგები და მოწვეული პროფესორები, რომლებთანაც ვიზიტის შემდეგ ამაში თავად დავრწმუნდი.

ოპერაცია განხორციელდა წარმატებით. აღმოჩნდა მუცლის ღრუს სერიოზული დაზიანებები. კლინიკის ქირურგების: თენგიზ ჭიქაბერიძის, როსტომ შველიძის, ონკოქირურგ ავთანდილ ცხადიაშვილის, ანესთეზიოლოგების და მთელი მედპერსონალის დახმარებით დღეს კარგად ვარ და ამ სამადლობელ წერილს ვწერ.

ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩემი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის და გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

პატივისცემით, ნანული გურგენიძე

დაილოცოს თქვენი მარჯვენა, ძვირფასო ექიმებო!

ადამიანისათვის დედა უძვირფასესი ადამიანია. ტკბილი, თბილი და მოსიყვარულე, რომელიც არასოდეს არ ითხოვს შვილისაგან საღირალ პატივს. თუმცა, ჩვენ, შვილები, ყოველთვის უნდა ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას დედის წინაშე და ვიდგეთ მათი ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე, მაგრამ ზოგჯერ უძლურნი ვართ, წინ აღვუდგეთ მოხუცებულობით გამოწვეულ სხვადასხვა დაავადებას, რომლებიც ასაკთან ერთად მალულად შემოგვეპარება. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 9 დეკემბერს, დახმარებისათვის მივმართე ჩვენთვის ყველაზე საიმედო სამედიცინო ცენტრს „ევექსს“.

გამაოცა აქ მომუშავე ექიმების პროფესიულმა ხელოვნებამ, ადამიანობამ, პაციენტებისადმი თბილმა და გულისხმიერმა დამოკიდებულებამ. ისინი დღე და ღამე ფეხზე იდგნენ არა მარტო დედაჩემის, არამედ ყველა პაციენტის გამოჯანმრთელებისათვის.

არასოდეს დამავიწყდება ექიმების: მარიკა მიგრიაულის, ნინო მახათაძის, ირინა ქოჩიაშვილის, მაია შარიქაძის, ქეთევან გიორგაძის, ლია ლილუაშვილის, ირინა ცხადაძისა და ციცო პაპიძის თანაგრძნობით აღსავსე თვალები, ის დიდი მოწადინება და პროფესიული პასუხისმგებლობა, რომლის საშუალებითაც მათ გადამირჩინეს ყველაზე საყვარელი ადამიანი—დედა.

დაილოცოს თქვენი მარჯვენა, ძვირფასო ექიმებო!

თქვენი სახით თერჯოლის რაიონს ჰყავს სანიმუშო ექიმები, რომელთაც საჭიროების დროს თავისუფლად ანდო შენი სიცოცხლე.

თქვენნაირი ექიმები რესპუბლიკის ყველა სამედიცინო ცენტრს ნამდვილად დაამშვენებდა, სახელს მოუხვეჭდა.

დიდ მადლობას გიხდით გულისხმიერებისა და თანადგომისათვის. თქვენთან ერთად დიდ მადლობას ვუხდი ყველა მედდასა და ტექნიკურ პერსონალს.

ახალ წელს გილოცავთ! ლხინი და მრავალჟამიერი თქვენს სავალ გზას, თქვენს ოჯახებს!

მადლიერებით ლამზირა ჯუღელი

სამშობიარო სახლის გახსნის მოლოდინში

მე ახლახან შემეძინა მეორე შვილი. მთელი ორსულობის განმავლობაში ვიმედოვნებდი, რომ მალე გაიხსნებოდა კლინიკა „თერჯოლამედის“ სამშობიარო განყოფილება და ჩემთვის კარგად ცნობილ და საიმედო მეან გინეკოლოგებთან ვიმშობიარებდი. იმდენად ლამაზად და გემოვნებით მოეწყო სამშობიარო განყოფილება, ნათელი ფერებით და ახალი ავეჯით გაწყობილი პალატები, საიმედო ექიმები და მყუდრო გარემო. ეს

☞8

მომავალი თქვენია

„თერჯოლა“ მიესალმება და ახალ წელს ულოცავს როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სრულიად საქართველოს პატარებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერ დღეებს და სურვილების ახდენას.

წინასაახალწლო დღეებში რაზე ოცნებობენ ნორჩი თერჯოლელები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის სხვადასხვა კლუბებისა და წრეების აღსაზრდელები, მათ ნააზრევ სტრიქონებში ამოიკითხავთ. ერთი უმთავრესია: აქ მრავალი რამ საგულისხმოა, თითოეული მათგანი უკეთესი რეალობის მოლოდინშია და პირადულს ნამდვილად სცილდება.

დიახ, ისინი გულწრფელად ფიქრობენ, განიცდიან და ოცნებობენ...

უფალმა ინებოს მათი ოცნებების ახდენა... ეს ჩვენს ქვეყანას ნამდვილად წაადგება.

ყველა ახალი წელი საინტერესოა. თავისი დაუვიწყარი ისტორია აქვს, მაგრამ გული მიგრძნობს დამდეგი ყველაზე განსაკუთრებული იქნება, დიახ, მეც ხომ ასე მინდა რომ მოხდეს.

არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასათვის, განურჩევლად, მინდა ეს წელი ძალიან ნათელი იყოს, წარსულში დავტოვო ის „ბნელი“ დღეები, რომლებიც 2019 წელში ან, თუნდაც, უფრო ადრე გავიარეთ. ყველაზე მეტად რაც არ მინდა, ეს არის გაჭირვება. დიახ! ძალიან არ მინდა პატარა ბავშვს ოცნებად ჰქონდეს ქცეული ტკბილეული, თოჯინა, ან სათამაშო მანქანა. მინდა ეს წელი მათთვის ოცნებების ასრულებისა იყოს, ყოველი ჩვენგანი ბედნიერი იყოს, დიდი ხნის უნახავმა დედებმა შვილები ნახონ... მინდა ამქვეყნად მშვიდობა იყოს და როცა ეს ყველაფერი მოხდება, მეც მშვიდად ვიქნები. არ გეგონოთ რომ ვაჭარბებ, მხოლოდ იმას ვამბობ, რაც მთელი სულით და გულით მინდა.

და... მე? მხოლოდ ის მქონდეს, რაც მაქვს და მაბადია, ჩემი საყვარელი ადამიანები იყვნენ ჩემთან და ვასახელო ისინი ჩემი მიღწეული წარმატებებით!

ანანო აბულაძე

დაე, ეს ახალი წელი იყოს იმაზე დიდი ბედნიერებით, სითბოთი, სიყვარულით და სიკეთით სავსე, ვიდრე აქამდე ყოფილა.

მინდა ამ წელს ავისრულო ყველა ის ნატვრა, რაც აქამდე მქონია. 2020 წელმა უფრო დიდი წარმატება მომიტანოს, ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩეს და ახალი იმედით, სიხარულით, შემართებით ვიცხოვრო და ვისწავლო 2020 წელს. სურვილი მაქვს ისეთ საგანმანათლებლო საკითხებში ჩართვისა, რაც განავითარებს ჩემს უნარებს და უფრო თვითრეალიზებული პიროვნება ვიქნები. მინდა ამ წელს ყველა ის ნაბიჯი, რომელმაც არასწორი შედეგი მომიტანა გავითვალისწინო და ჩამოყალიბებული, ხელსაყრელი გადაწყვეტილება მივიღო.

თიკა კეზევაძე

2020 წელი მინდა ძალიან განსხვავებული იყოს, ყველაფერი ცუდი, უინტერესო და მოსაწყენი ამ წელს დავუტოვო და ნაბიჯი წინ გადავდგა, ახალი ცხოვრებისაკენ; ახალი ფურცელი გადავშალო ჩემს ცხოვრებაში. იმედი მაქვს, რომ მე ამას შევძლებ და ჩემი ოცნებები, რეალობად იქცევა: მინდა ჩემი მინუსები თავიდან ჩამოვიშორო და მათ მაგივრად კარგი უნარ-ჩვევები ავითვისო. მე ამას შევძლებ, რადგან მე მჯერა ამის!

თეკლა მაკარიძე

მალე ახალი წელი დადგება, მე ახალ წელს მინდა მყავდეს პატარა საყვარელი ლეკვი. ასევე თეთრი ტელეფონი. უფრო მეტად ძაღლი, რადგან ძალიან მიყვარს ძაღლები და შინაური ცხოველები. ასევე ყველაზე მეტად ვოცნებობ ბებოს საბერძნეთიდან ჩამოსვლაზე, ძალიან მენატრება.

ბარბარე ფანჩულიძე

პირველ რიგში ვოცნებობ ვიცხოვრო მშვიდ ქვეყანაში, ისეთ ქვეყანაში, სადაც არ იქნება ოკუპაცია, არ მოიტაცებენ მშვიდობიან მოქალაქეებს. არ მინდა ჩემს ქვეყანაში ახალგაზრდები თავს იკლავდნენ ლურჯი ვეშაპის გამო, არ მინდა ამდენი გაჭირვებული ცხოვრობდეს. ძალიან ცუდია, როდესაც ახალგაზრდა სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდის და საქართველოში მხოლოდ მოხუცები რჩებიან.

ამიტომაც, ჩემთვის ის ახალი წელი იქნება საუკეთესო, როცა საქართველო გაერთიანდება, გაჭირვებულები აღარ იქნებიან და ადამიანები საზღვარგარეთ აღარ წავლენ.

ლუკა ბუცხრიკიძე

ყველა ადამიანს უხარია ახალი წლის დადგომა, უფრო მეტად ბავშვებს. ბავშვებს გვჯერა თოვლის ბაბუის და სულმოუთმენლად ველოდებით მის მოსვლას. ჩემთვის ძალიან კარგი იქნება, ამ წლის დადგომამ მოუტანოს სრულიად საქართველოს ბედნიერება, ჯანმრთელობა და ყველაფერი კარგი.

ნ. დადუნაშვილი

☞6

„ არ გადადო სიკეთე ხვალისთვის, ხვალ შესაძლოა ძალიან გვიანი იყოს“

თერჯოლისა და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის, ელგუჯა გოცირიძის ბიუროსა და ააიპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით, თერჯოლის კულტურის სახლში საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა.

შემოწირულობის სახით ღონისძიებაზე შეგროვილმა თანხამ 17 370 ლარი შეადგინა, რაც სრულად მოხმარდება 3 თერჯოლელი ახალგაზრდის მკურნალობას. შემოსული თანხის რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

8 670 ლარი გადაერიცხა მარიკა მაკარიძეს, 4200 ლარი—ანა ლიკლიკაძეს, 4000 ლარი—ნინი დიაკონიძეს, 500 ლარი კი ქ.თერჯოლაში მცხოვრებ ავთანდილ დევიძეს, მისი ეკონომიური მდგომარეობის გასათვალისწინებით.

გარდა ამისა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს აქტიურობითა და მუნიციპალიტეტის მერიის თანადგომით, ანა ლიკლიკაძის ოჯახს მუნიციპალიტეტში არსებული სახლდაზიანების პროგრამის ფარგლებში 700 ლარის ოდენობით სამშენებლო მასალები გადაეცა.

შეგროვილი თანხა მაჟორიტარმა, ელგუჯა გოცირიძემ გააორმაგა! რაც ასევე თერჯოლის რაიონის ბენეფიციარებს მოხმარდებათ. მათი შერჩევა უკვე მიმდინარეობს.

საქველმოქმედო აქციაზე, ბენეფიციარების დასახმარებლად, დეპუტატის ბიუროს ირგვლივ ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები გაერთიანდნენ. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ კულტურის სახლის ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები: „იმერეთი“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „იამე“, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“, ანსამბლი „მასპინძელო“.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ამ სასიკეთო საქმეში. ერთად ჩვენ ბევრს შევძლებთ!

* * *

ბატონო ელგუჯა,

მადლობა მინდა გადაგიხადოთ როგორც თერჯოლელი, ასევე ტყიბულელი მოქალაქეების თანადგომისთვის. ასევე მადლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სოცსამსახურს და თითოეულ მოქალაქეს, რომლებმაც გაჭირვების ჟამს ხელი გამომიწოდეს, რათა შევძლო და შევებრძოლო მონსტრს, რომელიც ცდილობს ჩააქროს ჩემი სიცოცხლე. თქვენ ძალიან გულისხმიერი ადამიანი ბრძანდებით, რადგან თითოეული მოქალაქის გაჭირვება და ტკივილი გულთან მიგაქვთ. მჯერა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შემოგყურებთ იმედის თვალით. ვისურვებდით, რომ იმრავლოს ისეთმა ახალგაზრდებმა და ღირსეულმა თანამშრომლებმა, როგორებიც თქვენი ბიუროს წევრები არიან. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ თამარ ყიფიანს ყურადღებისა და თანადგომისთვის! მადლობას ვუხდი ასევე აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს, რომელიც არაერთხელ დამეხმარა.

მრავალ ახალ წელს დაესწარით!

რიტა ბუცხრიკიძე

სიყრმის მეგობრებს

ციალა არეშიძეს, ნიკოლოზ ქოჩიაშვილს და ოთარ შეყრილაძეს

გილოცავთ ახალ წელს! ჯანმრთელი, ბედნიერი, მშვიდობიანი, სიხარულით სავსე გვეცხოვროს მთლიან და გაძლიერებულ საქართველოში ჩვენს ოჯახებთან ერთად!

ჩვენ ერთი თაობის შვილები ვართ, დაბადებული ერთსა და იმავე წელში, სტუდენტობაც ერთად გავატარეთ ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

გავიზარდეთ შოთა რუსთაველის ამაღლებული სიყვარულის, „თერგდალეულთა“ იდეალებისა და იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებით.

ამ წელში ჩვენ 88 წლისანი ვხდებით,
მაგრამ არ კმარა ეს წლები ჩვენთვის,
ოცით მეტი კიდევ გვინდა,
რომ განვაახლოთ ის დღეები,
როცა სიცოცხლე მართლაც ღირდა.
დარწმუნებული ვარ,
„კვლავ გაიმარჯვებს საქართველო
მტრების ჯინაზე და აყვავდება იბერია,
მრავალჟამიერ!“

თქვენი მეგობარი ნუნუ აბულაძე

ორი საწარმო-ერთიან ჯაჭვში

...აკაცია, მუხა, წიფელი, კოპიტი, ნიგოზი, თუთა... და ყველა სხვა სახის ფოთლოვანი ჯიშისაგან დამზადებულ ხის მასალას იყენებს შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვით, დამუშავების შემდეგ მზადდება სხვადასხვა ხის ნაკეთობები: პარკეტი, ჭერის, იატაკის მასალა, ფანჯრები, კარები, შიგა კიბეები, ყველაფერი, რაც შენობების მოსაპირკეთებლად არის საჭირო. ხის მასალის დამუშავება ცხადია მანქანა-დანადგარებით ხდება, სამუშაოს გარკვეული ნაწილი ხელით სრულდება.

პირველადი გადამუშავება მასალის დახერხვით იწყება, დახერხილი მასალა სახარშ კამერაში თავსდება 7-8% ტენიანობის პირობებში, შემდეგ ნიავდება და სპეციალურ საშრობ ოთახში შედის, 45 დღის შემდეგ მასალა აღარ იცვლის მდგომარეობას და ხის მასალა მზადაა და აკეთე რაც გინდა!



სხვადასხვა ჯიშის ხის მორებს მოსახლეობიდან იძენს, იშვიათად შესყიდვების სააგენტოდან, შეკვეთებსაც ძირითადად მოსახლეობიდან იღებს, ინტერნეტგვერდებითაც სარგებლობს. მალე მისი შეკვეთები საქართველოს გასცილდება, არის საამისო პირობები, გამოცდილება და ხარისხიანობა, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის სახით, სახელმწიფო შესყიდვებზე გასვლას ბევრი კრიტერიუმის გადალახვა ჭირდებაო—გვითხრა შპს „ძევრის მერქნის“ მეპატრონემ პაატა აბჟანდაძემ.

პაატა ძევრის მკვიდრია, აქვს უმაღლესი ტექნოლოგიური განათლება, ინჟინრის სპეციალობით. მუშაობდა ძევრის საშუალო სკოლაში ტექნიკური შრომის და ხაზვის მასწავლებლად. 2016 წელს მონაწილეობა მიიღო ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროექტში „აწარმოე საქართველოში“. მოიწონეს შპს „ძევრის მერქანის“ შექმნის იდეა და პაატამ დაფინანსების სახით 15000 ლარი მიიღო. ეს იყო გზა 2006 წლიდან —პირველადი გადამუშავების სახერხი საამქროდან—„ძევრის მერქნამდე“.

საწარმომ მუშაობა პარკეტის წარმოებით დაიწყო და თანდათან გაფართოვდა. აქ ყოველი ჯიშის მასალა სხვადასხვა მეთოდით მუშავდება და პროცესი რთულია, ამიტომ აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი იტალიური ოთხმხრივი დანადგარები, რომელიც ერთი მიწოდებით ყველა სახის ოპერაციას ასრულებს.

პაატას შორსმჭვრეტელი გეგმები აქვს, იგი მიზანდასახულია და მალე გავა ევროპის ბაზარზე, გამოუშვებს ახალ პროდუქციას და დაიმკვიდრებს ადგილს, სხვა ინოვაციური პროექტებიც აქვს.

საწარმოში დასაქმებულია ადგილობრივი მცხოვრები რამდენიმე ადამიანი. გამომუშავებაც მისაღებია, პაატა პირნათელია ბიუჯეტთან. საწარმოში ხშირად მოდიან „აწარმოე საქართველოში“ ქუთაისის ფილიალიდან და მოჰყავთ ბიზნესის კეთებით დაინტერესებული ახალგაზრდები, პაატა სისტემატურად იმაღლებს ცოდნას, კვალიფიკაციას, თუნდაც ამ შეხვედრების გამო და იმიტომაც, რომ იგი არის სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრი და ამ პალატის დელეგატი.

შპს „ძევრის მერქანის“ მეორე ჯაჭვი

„მერქანს“ აქვს მეორე მხარე—წარმოების მეორე ჯაჭვი. ეს სოფლის მეურნეობაა. საწარმოს მძლავრმა საქვაბე მეურნეობამ პაატას საშუალება მისცა 550 კვ. მეტრზე მოეწყო სათბური. არასეზონურ პერიოდში ადრე გაზაფხულზე და ზამთარში აწარმოოს პამიდორი, კიტრი, გამოიყვანოს ჩითილები, თუმცა ნერგების ძირითადი ოდენობა შემოაქვს.

სათბურში ახლა 1500 ძირი საუკეთესო ჯიშის პამიდორია დარგული, რომელიც მწიფობაში შედის და უხვ მოსავალს ელოდება, კიტრსაც კარგად ასხია. ორივე სუფთა პროდუქტია და გასაღების ბაზარიც მოძებნილია. მოვლენ და წაიღებენო—თქვა პაატამ. უკეთესს რას წაიღებენ.

საქვაბე ისეა დამონტაჟებული საწვავი ცოტა ჭირდება, ყველაფერი თვითონ მოაწყოო—თქვა მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ძევრში, ფრიდონ კუტალაძემ, რომელმაც ეს საოცრად შრომისმოყვარე და მცოდნე კაცი გამაცნო.

* * *

პაატას ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ორივემ ძევრის საჯარო სკოლა დაამთავრა. ემზარმა უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ გერმანიაში გააგრძელა სწავლა, მეცნიერებათა ასპირანტია და მაგისტრატურაში სწავლობს, ზურაბიც გერმანიაში სწავლობს მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე.

დიდი და გამართული ოჯახი აქვს პაატას. სტუმარი მისთვის ყველაზე სასურველია, საამისოდ ყველაფერი აქვს, შრომა მისთვის, მეუღლისა და შვილებისათვის მოთხოვნილებაა, ეს ეტყობა საწარმო „მერქანს“.

ჟუჟუნა ცხადაძე

როგორ ჩაუტარეს მასტერკლასი ღვანკითელმა კუბლაშვილებმა ამერიკელ დელილოს!

ამ გვარს რომ ახსენებ, უმალ მომღერალი კუბლაშვილები დაგიდგება თვალწინ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ცხონებული ვაჟა თუ გურამ კუბლაშვილი, საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტები, იუზა კუბლაშვილი—დამსახურებული ლოტბარი, ანზორ და ამირან კუბლაშვილები, რაიონული ფოლკლორული ანსამბლის წევრები (ეს უკანასკნელი ახლაც ანსამბლშია).

მარტო სიმღერის უბადლო ნიჭით როდი იყვნენ გამორჩეული, უფრო იმით, რომ „მშობელ მიწაში ედგათ ფესვები“ და კულტურულ შემოქმედებასთან ერთად გამრჯე მეურნეებიც იყვნენ. განსაკუთრებით ბატონი ვაჟა, რომელიც საოპერო სცენაზე დგომასთან ერთად მუხლჩაუხრელი მშრომელი და მიწის მეთარგე გახლდათ. ამ არაჩვეულებრივი მახასიათებლის გამო მომღერალ კუბლაშვილებს არაერთი „შინაური“ თუ „გარეშე“ სტუმარი გაუოცებიათ. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ამირან კუბლაშვილმა გვიამბო (იგი პროფესიონალი ფოტოგრაფი და როგორც უკვე ვთქვით რაიონის ფოლკლორული ანსამბლის წევრია) აქვე მოგიყვებით.

ამირანის ძმა მურმან კუბლაშვილი მაშინ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე იყო, ახალგაზრდა, მაგრამ იმხანად უკვე ცნობილი მათემატიკოსი. ერთხელაც საქართველოს მსოფლიოს გამოჩენილ მათემატიკოსთა დელეგაცია ესტუმრა. ჩვენებურების სტუმართმოყვარეობის ამბავი ხომ იცით და სტუმრებს რესტორნებიდან არ გამოაყოფინეს თავი.

აღარ გვინდა ეს რესტორნები, სადმე სოფელში წაგვიყვანეთ, ითხოვეს მორიდებით სტუმრებმა. გადაწყდა, დელეგაცია ღვანკითში წამოეყვანათ და მურმანმაც სიამოვნებით იკისრა მასპინძლობა. ჯერ სოფლის სანახები დაათვალიერეს, შემდეგ სუფრაზე მიიპატიჟეს. სტუმრები დიდად მოიხიბლნენ იმერული სამზარეულოთი. ერთმანეთს ასინჯებდნენ სხვადასხვა კერძებს და პირს სიამოვნებით აწკლაპუნებდნენ. სტუმრების გაოცება მაშინ უნდა გენახათ, როცა მასპინძლებმა ხმატკბილი სიმღერები დააგუგუნეს (სოფელს მშვენიერი სიმღერის გუნდი ჰყავდა, იმ დღეს კი „გაძლიერებული“ შემადგენლობა გამოვიდა—ვაჟა, გურამ, იუზა კუბლაშვილებით). დელეგაციის წევრებს შორის იყო ამერიკელი მათემატიკოსი ტომი დელილო. მან ხელში სასმისი აიღო, გრძნობამორეულმა ადღეგრძელა მასპინძლები და განაცხადა: ასეთი უბადლო სუფრა, ასეთი ხალხური შემოქმედება არსად მინახავს, ეს დღე არასოდეს დამავიწყდებაო. ახლა კი ნება მომეცით თქვენს საპატივცემულოდ ერთი კლასიკური ნაწარმოები შევასრულოო. პიანინოს მიუჯდა და შეასრულა კიდეც. აბა, ბიჭო, კლასიკურის „კლასი“ ვაჩვენოთ სტუმარსო გადასძახა ვაჟამ გურამს და... წავიდა არიები ხან სოლოდ და ხან დუეტში ცნობილი კომპოზიტორების ოპერებიდან. სტუმრები გაოგნებული შლიდნენ ხელებს,—დაგვპირდით მიწის მუშა ხალხს შეგახვედრებთ, აქ კი ლასკალას სოლისტები მოგიწვევიათო.

მიწის მუშა ხალხი ვართ, ბატონო, ფოლკლორული და საოპერო სიმღერები მხოლოდ ჰობი და გატაცებაა ჩვენი, თუ არ გჯერათ აგერ ჩემი ხელები ნახეთო, ღიმილით მიუგოთ ბატონმა ვაჟამ და თავისი დაკოჟრილი ხელები აафარათ ცხვირწინ.

სტუმარ-მასპინძლობამ დიდებულად ჩაიარა, ღვანკითლებს კი სიამაყეს გვრიდა ის ფაქტი, რომ უცხოელები დუნიაზე გაიტანდნენ ერთი პატარა ქართული სოფლის კულტურისა და ტრადიციების ამბავს.

ი. ერაძე

მომავალი თქვენია

5☜

პირველ რიგში დიდი სურვილი მაქვს, რომ, რაც კი ცუდი 2019 წელს მოხდა ის 2020 წელს არ მოხდეს. ჩემი უდიდესი ნატვრაა 2020 წელს მყავდეს კვიცი. ძალიან მიყვარს ჯირითი. ეს უკვე ჩემს ჰობად იქცა. კიდევ მინდა, რომ ყველას აუხდეს თავისი ნატვრა და ყველა კარგად შეხვდეს 2020 წელს.

სესილი რიჟამაძე

მე მინდა, რომ 2020 წელს დაბრუნდეს ჩემი უსაყვარლესი ბებია და ყველანი ბედნიერები და გახარებულები შევხვდეთ ახალ 2020 წელს. ეს ჩემი დიდი ხნის ნატვრა არის და მინდა რომ ამისრულდეს.

ნათა კარტოზია

მოგესალმებით, ყველას მოგილოცავთ დამდეგ 2020 წელს. არ მინდა არაფერი, მხოლოდ მინდა, რომ ჩემი ოჯახი და საყვარელი ადამიანები კარგად და ჯანმრთელად იყვნენ.

ნინო ტალახაძე

მე ძალიან მინდა ჩემი ქვეყანა იყოს ისეთი, როგორიც სხვა ქვეყნებია, მაგალითად ამერიკა. მინდა დავიბრუნოთ წართმეული ტერიტორიები. მსურს ისე ასწავლიდნენ, როგორც სხვაგან. ვიმოგზაურო სხვა ქვეყნებში, მქონდეს დიდი როიალი და ძალიან კარგად ვუკრავდე ფორტეპიანოზე.

მარიამ სარდანაძე, 8 წლის

მე ძალიან მიყვარს და მომწონს ახალი წელი. ნეტავი ახალმა წელმა მოიტანოს თოვლი. ყველას ოჯახში მოიტანოს ბარაქა, სიხარული, სიყვარული, ბედნიერება. მინდა, სულ განათებული იყოს ჩვენი სახლი. ჩვენც მხიარულად ვხვდებოდეთ ახალ წელს.

ელენე, 9 წლის

ჩემი საახალწლო სურვილია, რომ მქონდეს ის, რაც არ მაქვს, მაგალითად აიფონი, ველოსიპედი და ჰოვერბოდი. ამ ახალ წელს მინდა ყველა შევხვდეთ ერთად, ყველა ვართ, მაგრამ გვაკლია ბებია. მსურს აგრეთვე გავხდე ცნობილი მოცეკვავე, ბევრი გავიგო საქართველოს შესახებ და მშვიდობინად ვიცხოვროთ ქვეყანაში. მინდა ვცხოვრობდე სადმე ქალაქში, სადაც იქნებიან თავისუფალი ადამიანები.

ქრისტინე გიორგაძე, 13 წლის

მინდა მამიდა ჩამოვიდეს, ბებია გამოჯანმრთელდეს და მქონდეს პრინცესას კაბა, მინდა იყოს საქართველო კარგად და აღარ იყოს ბოროტება.

იზა, 12 წლის

თოვლის პაპა, მე მსურს, რომ ოკეანეში ვნახო თევზები, მქონდეს წიგნი, თან საინტერესო და კიდევ ისეთი რაღაც მინდა, რომ თვითონ იმეცადინოს.

ელენე, 7 წლის

ჩემი საახალწლო სურვილია, რომ ახალ წელს მხიარულად შევხვდე. მხიარულება და ხალისი იყოს ყველა ოჯახში. კიდევ, ვინც ჯანმრთელობის მხრივ ცუდად არის, გამოჯანმრთელდეს. მინდა, რომ პირველ სემესტრში სულ 10-იანები გამომყვეს.

მიშიკო ზარნაძე, 12 წლის

ვირთხის ჩივილი



სად ვირი, სად თაგვი, ვინ დამარქვა ვირ-თაგვა?
მაგნიტოფონზე მაქვს ჩაწერილი ჩემს სალანძღავად ვინ რა თქვა.
ჭორი და ტყუილ-მართალი ვინ მომიგონა? ვინ დაფქვა?
რატომ დამიდგეს ხაფანგი, ან ვინ მესროლა ფილთა-ქვა?
ჩემთვის ვპოულობ ხულაში სიმინდის ტაროს სახრავს,
სულაც არ მაინტერესებს ვინ სად თესავს და სად ხნავს.
ავადმოსურნე გარემოცვაში არ არის მარტოდ ყოფა ადვილი,
მაგრამ ცაგადმოხურულში მეც ხომ მეკუთვნის ადგილი?
უბედურება არ ვიცი ვინ მომისაჯა, ვინ დამანათლა.
ჩემი არსობა ამქვეყნად რატომ არავინ არ გაამართლა?
ეგეც არ იყოს—
გამგებმა კარგად გამიგოს:
კოდ-კიდობანი დახრულ-დაჭმული და ბევრი საქმე ამდაგვარი
ხშირად მე მბრალდება სხვათა ნამაიმუნარ-ნათაგვარი,
თითქოს მარტო მე ვიყო ავის ჩამდენი და მზაკვარი.
ახალო წელო, მირჩიე რამე, როგორ გავიკვლიო გზა-კვალი?

2020 რომ ვირთხის წელია
ეს ჩინურ ეფუთშიც წერია.
მოვიაზრებით:
ჭკვიანებათ
და ეჭვიანებათ.
სიყვარულში გვიმართლებს
და პატივს ვცემთ სინათლეს.
გვაქვს ერთადერთი საზრუნავი
როგორ მოვიპოვოთ სასუსნავი!
სხვა რა გითხრათ:
ვირთხად გავჩნდით და ვრჩებით ვირთხად!

ქართველის ნატვრა

მინდა მამულის იმედად ჩამესმას ყოველ დროს—
მამულს სიტყვა მადლიანი მოედოს,
მზემანათობელმა: სინათლეს გზა გაუხსნას,
სიყვარული აუხსნას,
დედა დააფიცოს და უფალს შეავედროს,
როგორც დიდი ილია ავედრებდა ერთ დროს.



დიალოგი

—ყმაწვილო, გაფიცებ იმ შენი ბაბუის სულს, ვინ ჩაგიწყო და რა დაგიჯდა ეგ წყვილი ნომერი?

—ეს-ეს არის შემოვდგი ფეხი. ჯერ არავის ვიცნობ და არავინ მიცნობს. ვინ ჩამიწყობდა? კონკურსში მივედი, ვნახე და გავიმარჯვე. ეგ „ჩაწყობა“ და მიწყობა-მოწყობა ჩემო ბაბუა, ჩაიდევი ახლა შენს ხურჯინში და წაიმძღვანიე იქითკენ, საითაც მიდიხარ...

გთავაზობთ

„ნისლი ფიქრია მთებისა“—ეს საოცარი ფრაზა დიდ ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით მკითხველს (პედაგოგებს, მოსწავლეებს, ნებისმიერ ადამიანს) გთხოვთ პირველ თებერვლამდე გამოგვიგზავნოთ თქვენეული კომენტარები, მოსაზრებები, განმარტებანი და ა.შ.

პასუხები უნდა იყოს მოკლე, კონკრეტული, მახვილგონივრული (კვიმატი), შეიძლება იყოს სევდიანიც, იყოს იუმორიც, პატრიოტული გრძნობაც, დამოკიდებულება ბუნების მიმართ („ბუნება მბრძანებელია“) და ა.შ.

თუ დამატებითი კითხვები გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ დარეკოთ (555 78 08 55).

საინტერესო პასუხებს და ავტორებს გამოვაქვეყნებთ მადლიერების გრძნობით.

გულითადად გილოცავთ ახალ წელს და წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

მინაწერი:

იქნებ ამ მარტივ კითხვასაც უპასუხოთ: უხურჯინო თოვლის ბაბუა იგივეა რაც... (პასუხი ორი სიტყვისაგან შედგება...)

<u>მინიატურები</u>

ახალი წლის დილა თონესთან

მილოც-მოლოცვა.. ჩვეულებრივი ხმამაღალი როგორც გვჩვევია!..

ცხელი ლავაშის სურნელი და სურვილი ორნახადი „ჭაჭის“...

ღამენათევარი მეპურე კმაყოფილი თავის ნახელავით, როგორც ფლორენციელი ფუნჯის ოსტატი ფერწერული ტილოს დასრულებისას...

—ე, რამდენი ლავაში დაგიცხვია, ძმობილო!? ვეკითხები ამ საქმის დიდოსტატს.

—აბა, როგორ, მაგის გარეშე საახალწლო სუფრა ხომ არ იქნება!

ცხელ-ცხელ ლავაშებს გადმოგილაგებთ და ლოცვასაც გამოგადევნებთ: გემრიელად შეგარგოთ!

ეს სასიამოვნო სურათი ყოველ დილით ასე არი.

მეპურე **იუზა სიმონიძე** კაცია ასიანი!

მეეზოვე

ამ დილაუთენია ცოცხით ხელში? ვეხმიანები მეეზოვეს.

—ჩემს ქალაქს გაღვიძება უნდა დავასწრო, სუფთა და წკრიალა უნდა დავახვედრო ახალ წელს.

ტაქსისტი

ტაქსის სადგომზე: პირველ კლიენტს ველოდები. ფულს არ გამოვართმევ. ეს გახარება მთელ კვირას მეყოფა...

გამრავლდი ერო

სამშობიაროდან გვირეკავენ: „წუხელის ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე დავითი; წუხელის გოგოც დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე თამარი“.

ახალი წლის პოზიცია

ახალი წელი აჟღერებს პოზიტიურ პოზიციას, რომ პოზიციაც და ოპოზიციაც ერთ პოზიციაზე დაფიქრდნენ.

შუქნიშანთან

შუქნიშანზე მწვანე ანთია. მძღოლი არ ძრავს ავტომობილს, წითელზე მდგომს ანიშნებს გაიაროს (სტრიქონის გახსენება: „გმირი იმერი ზრდილობით!..)

მეზობელო კარისაო

დილით ადრე მეზობელი კარის მეზობელს შეუძახებს: გადმოი ერთ წამას „შკაფი“ მაქ მისაწევი გვერდზე...

წლის საუკეთესო სპორტსმენები:

1. **გავაშელაშვილი ზურაბი**—ქართული ჭიდაობა
2. **კუპაშვილი სანდრო**—ბ/რ ჭიდაობა
3. **ფანჩულიძე მაია**—თავისუფალი ჭიდაობა
4. **სულამანიძე საბა**—ძიუდო
5. **ბოჭორიშვილი ზურაბი**—სამბო
6. **წივწივაძე ნინი**—ჭადრაკი (წლის საუკეთესო სპორტსმენი)
7. **ჩიტიძე ლიზი, სირბილაძე თამარი, მარუაშვილი ბარბარე**—გოგონათა სამეული აკრობატიკა
8. **გოცაძე ზურა**—ფეხბურთი
9. **რობაქიძე დათო**—კარატე
10. **ჭანტურიძე გიორგი**—„უშუ“

გვერდის ავტორი
ნუგზარ გამყრელიძე

ახალი წლის ხიბლი

ყოველი ახალი წელი უფლისგან ჩვენთვის ნაჩუქარი სიცოცხლის ყულაბიდან ერთ წელს გვაკლებს! სევდისმომგვრელია ეს, რა თქმა უნდა. რადგან გვაახლოებს არცთუ სასურველ სიბერესთან. თუმცა... მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმისათვის ვიკლავთ თავს, რომ სიბერემდე მივაღწიოთ როგორმე. ასე რომ, გვაქვს საფუძველი გვიხაროდეს ახალი წლის მობრძანება. მას თავის განუმეორებელი ხიბლი აქვს.

ამ დღეს ყოველი ჩვენგანი ვცდილობთ ბედნიერი ვიყოთ ან თუნდაც ვითამაშოთ ბედნიერის როლი.

ამ დღეს უხასიათობის უფლება არავის აქვს.

ამ დღეს გვტოვებენ ავი ზრახვანი და მხოლოდ კარგზე ვფიქრობთ.

ამ დღეს გარესამყარო უფრო ლამაზად გვიჩანს, ვიდრე ეს არის.

ამ დღეს არის მხოლოდ „დაბინდული ქლიავის ფერი“ სამშობლოს მთები.

ამ დღეს უყვართ.

ამ დღეს არის თოვლი იისფერი.

ამ დღეს უფრო მძაფრად იგრძნობა სამშობლოს სუნთქვა.

ამ დღეს რიგდებიან და უღიმიან ერთმანეთს შემდურებულები.

ამ დღეს უფრო მეტად გვიხარია ერთმანეთი.

ეს არის ახალი წლის ხიბლი.

ახალ წელს სიკეთე უნდა დავიკვებოთ.

ახალ წელს ხმამაღლა უნდა ვიცინოთ.

ახალ წელს ერთგულება უნდა შევფიცოთ სამშობლოს და კეთილი ჩავინერგოთ გულში.

ახალო წელო, შენი გამარჯვებისა იყოს!

როცა ქვეყნად სიკეთე დაივანებს—ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება, სიყვარული კარს გაგვიღებს, სიყვარულზე უკეთესი კი რაღაა ამ ქვეყანაზე?

ნუგზარ გამყრელიძე

ჩემი თოვლის ბაბუები...

5 წელია ვებრძვი სიმსივნეს. უკვე გაკეთებული მაქვს ქიმიოთერაპიის 35 კურსი და თან ისეთ წამლებს ვღებულობ სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. ყოველი წლის მოსვლა მიხარია, ვამბობ: ერთი წელი გადავლახე, ორი... ეხლა უკვე მეხუთე წელია და მინდა ვთქვა რომ არა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ბონდო სოფრომაძე, რომ არა საკრებულოში ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი გიორგი ლილუაშვილი, რომ არა სოცსამსახურის უფროსი, ქალბატონი დიანა ფოცხვერაშვილი, მისი თანამშრომლებით, ალბათ ვერ ვიარსებებდი. დიდი მადლობა იმ გვერდში დგომისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეთ.

მინდა მოგილოცოთ 2020 წელი. ხვავიანი, ბარაქიანი, ფეხბედნიერი წელი ყოფილიყოს თქვენი ოჯახებისათვის და თითოეული თერჯოლელისათვის.

მოდი, ჩემთან, კიდევ, ბევრო წელო...

და ერთსა გთხოვ, რომ ღრმად დამაბერო...

რიტა ბუცხრიკიძე

გულწრფელი მადლობები და საუკეთესო საახალწლო სურვილები თერჯოლელ მედიკოსებს!

5 ☞

მაქსიმალური კომფორტია, რასაც კი მშობიარე შეძლებს ინატროს, სწორედ ამიტომ დიდი სურვილი მქონდა „თერჯოლამედში“ მშობიარობის, თუმცა, ვერ მოესწრო განყოფილების გახსნა ჩემი პატარის დაბადებამდე. იმედია მალე გაიხსნება იგი და ბევრ მომავალ დედიკოს მოემსახურება კლინიკა ჩვეული მზრუნველობით.

ლალი არაბიძე

* * *

როდესაც შევიტყვე რომ ბავშვს ველოდებოდი, ორმაგად გამიხარდა, რადგან სწორედ იმ პერიოდში საუბარი იყო კლინიკა „თერჯოლამედში“ სამშობიარო განყოფილების გახსნის შესახებ. ჯერ ის ფაქტი მახარებდა, რომ ჩემივე რაიონში შევძლებდი მშობიარობას და მერე კიდევ ის, რომ ჩემს გუნდთან ვიქნებოდი. „თერჯოლამედი“ ერთი დიდი ოჯახია და ჩემთვის კომფორტული იქნებოდა ჩემს კლინიკაში თუ მოევლინებოდა სამყაროს ჩემი პატარა. სამწუხაროდ, შეფერხდა სამშობიაროს გახსნა, თუმცა, ვიმედოვნებ, რომ მალე გაიხსნება ესოდენ ნანატრი განყოფილება და თუ უფალი ინებებს, მომდევნო შვილებს „თერჯოლამედში“ გავაჩენ.

რადგან საშუალება მომეცა წერილის გასაჯაროების, მინდა ყველას მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და ბედნიერებას.

ნინო დალაქიშვილი

2020 წლის ჰოროსკოპი

თუკი ვინმე ამბობს რომ არ აინტერესებს რა ელის მომავალში, მწარედ იტყუება! ყველანი ცნობისმოყვარეები ვართ, მითუმეტეს, როცა საქმე ჩვენს ცხოვრებას ეხება.

ცნობისმოყვარენო და არაცნობისმოყვარენო!

ყველას, ვისაც გაინტერესებთ 2020 წლის ცხელ ცხელ ჰოროსკოპს გთავაზობთ:

ვერძი (21.03 - 20.04)
ახალი მწვერვალების დაპყრობის დრო!

გასულ წელს ბევრი იშრომე და იწვალე, ამისათვის ყოჩაღ!

შეიძლება ფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი არაფერი გაგიკეთებია, მაგრამ არ იდარდო, მომავალი შენია! თავად ვირთხა საკმაოდ მშრომელია და ყველაფერს თავისით აღწევს. ნუ გაჩერდები, გააგრძელე დამოუკიდებლად შრომა, წინ უამრავი დასაპყრობი მწვერვალია!

კურო (21.04 - 20.05)
ოცნებების ასრულების დრო!

კურო თავიდან ფეხებამდე რეალისტია. ალბათ ამიტომაცაა, რომ დიდად მეოცნებე არაა და არც ფანტაზიორობს ბევრს. თუმცა ეს წელი ყველაფერს შეცვლის!

ამ წელს გელის კარიერული და ფინანსური წინსვლა. თუკი, რაიმე საინტერესო შემოთავაზებები გექნება უარი არ თქვა! რადგან ეს ზუსტად ის პერიოდია, როცა უნდა გარისკო!

ტყუპები (22.05 - 21.96)
დატკბი ცხოვრებით!

ზოგადად ტყუპები ძალიან პოზიტიური ზოდიაქოს ნიშანია, ვირთხა კი უფრო თავშეკავებულია. ალბათ ამიტომაცაა, რომ წელს ტყუპებს არაფერი განსაკუთრებული არ ელოდებათ. შეეცადე დატკბე ცხოვრებით და არ დაკარგო ის პოზიტივი, რაც ბუნებრივად გაქვს. ბევრი იმოგზაურე და გაიცანი ახალი ადამიანები, ეს დაგეხმარება, რომ 2020 წელს მოწყენილად არ იყო.

კირჩხიბი (22.06 - 22.07)
დაიბრუნე ყველაფერი, რაც შენთვის ძვირფასია!

კირჩხიბს ამ წელს საშუალება ექნება დაუბრუნდეს მიტოვებულ საქმეებს და დაიბრუნოს ის, რაც წინა წლებში დაკარგა. მაგალითად: აღადგინე დასრულებული ურთიერთობები, გაგრძელე წამოწყებული და შუა გზაზე მიტოვებული საქმეები და ა.შ.



ლომი (23.07 - 22.08)
ნუ ჩამოყრი ყურებს!

ლომებისთვის 2020 წელი მარტივი არ იქნება. მოგიწევს მაქსიმალურად მობილიზდე და დაიწყო საკუთარი თავის განვითარება. კარგი იქნება თუ ახალ პროფესიას დაეუფლები და შეისწავლი რამე ახალს. ასევე, მოგიწევს სანაცნობო წრის შეცვლა, შეიძლება ქვეყნისაც კი. მოკლედ, დიდი ცვლილებების წელი გელის. რთული, თუმცა ახალი აღმოჩენებით სავსე!

ქალწული (23.08 - 22.09)
ოჯახური ბედნიერების დრო!

ქალწულებისთვის არაჩვეულებრივი პერიოდია პირადი ურთიერთობების დასალაგებლად. (მგონი გეშველა!) თუკი წინა წლებში შენს საყვარელ ადამიანთან უთანხმოებები მოგდიოდა, წელს ყველაფერი დალაგდება. თუ საყვარელი ადამიანი არ გყავს, 2020-ში გეყოლება, ხოლო თუ გყავს - დაოჯახდებით, თუკი დაოჯახებული ხარ დროა მატებაზე იფიქრო. მოკლედ, არაჩვეულებრივი ოჯახური წელი გელის.

სასწორი (23.09 - 23.10)
ჰარმონიის დრო!

წინა წლებში სასწორების ცხოვრება სრულ რუტინად იქცა. სახლი-სამსახური, სამსახური-სახლი... არავითარი რომანტიკა! წელს ყველაფერი სასიამოვნოდ შეიცვლება. ბევრს დაისვენებ, ბევრი სიახლეები გექნება, რომანტიკაც გექნება და სრული ჰარმონიაც. დიახ! ეს ისაა, რაზეც ამდენი წელია ოცნებობდი.

მორიელი (24.10 - 22.11)
საცხოვრებლის შეცვლის დრო!

ცხოვრების ინტერესი დაკარგე? სამსახური უკვე მოსაბეზრებელია? გარშემო ყველა გაღიზიანებს? 2020 წელი ამ ყველაფრის შეცვლისათვის არაჩვეულებრივი პერიოდია. ნუ მიაქცევ ყურადღებას იმას, რომ ვირთხას ცხოვრების რიტმის შეცვლა არ უყვარს. შენ ხომ მორიელი ხარ, ე.ი. არ ემორჩილები წესებს! შეცვალე ყველაფერი, რაც უბედურს გხდის. გამოცვალე საცხოვრებელი ადგილი, სამსახური და საერთოდ გარემო. აკეთე ის, რაც გინდა, სადაც გინდა, როგორც გინდა და როცა გინდა!

შვილდოსანი (23.11 - 21.12)
საბედისწერო შეხვედრის დრო!

მანამ, სანამ სხვები ისვენებენ, მშვილდოსნები ცხოვრებით ტკბებიან, თუმცა მათ ცხოვრებას ერთი მნიშვნელოვანი დეტალი აკლია. 2020-ში შენ ამ დეტალს აუცილებლად შეხვდები. დიახ! ეს იქნება საბედისწერო შეხვედრა, რომელიც მთელს შენს ცხოვრებას ამოაყირავებს (სასიამოვნოდ). შეიძლება საცხოვრებელი ადგილის შეცვლაც კი მოგიწიოს, ან ცხოვრების სტილის. მოკლედ რომ ვთქვათ საკმაოდ დინამიკური წელი გელის.

თხის რქა (22.12 - 20.01)
საკუთარ თავზე ფიქრის დრო!

ძალიან ბევრი დრო დახარჯე სხვებზე ფიქრსა და დარდში. იმაზე თუ როგორ არიან სხვები, რამე ხომ არ სჭირდებათ, რითი შეგიძლია დაეხმარო და საერთოდაც, როგორ გადაყვე თავზე. ახლა კი დროა შენს თავსაც მიხედო. წელს მოგიწევს მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრო. აიხდინო ოცნებები, იმოგზაურო, აკეთო ის, რაც შენ გიყვარს, იყო მასთან, ვინც შენ გიყვარს. მოკლედ, შენ, შენ და შენ! ეს არის 2020 წლის საზრუნავი.

მერწყული (21.01 - 19.02)
მოახდინე კონცენტრაცია ყველაზე მნიშვნელოვანზე!

მერწყულებს რთული და დაძაბული წელი ელით. არ იღელვო, ეს არ გამორიცხავს საინტერესო სიახლეებსა და ამბებს. წელს იმ მიზნებს მიაღწევ, რაზეც უკვე მრავალი წელია მუშაობდი. საკმაოდ კარგი პერიოდი გელის, მთავარია მოახდინო კონცეტრაცია ყველაზე მთავარზე და არ მიედ-მოედო ყველაფერს ერთდროულად. იყავი: უხეში, გაბედული, თამამი და ყველაფერი გამოგივა!

თევზები (20.02 - 20.03)
მეტი პოზიტივი თევზებო!

როგორიც არ უნდა იყოს 2020 წელი, შენთვის მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება. ვირთხა დაგეხმარება პოტენციალის განვითარებაში. აღმოაჩენ და წამოიწყებ ახალ ან ძველ მივიწყებულ საქმიანობას. წელს ასევე ისწავლი, როგორ გაუმკლავდე პრობლემებს და ყველაფერში ნათელი მხარე დაინახო!

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LBO113133960124000
ს/კ 231948872